ელიზბარ ერისთავის სახელობის
ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი

Visegrad Fund

კვლევის დოკუმენტი

საქართველოს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

SFPA
Slovak Foreign Policy Association

PARTNERS 4 CLIMATE

CHARLES UNIVERSITY
Environment Centre

თბილისი
2024

კვლევის დოკუმენტი

საქართველოს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ

თბილისი
2024

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა პროექტის – ,,ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება კომუნალური მომსახურების რეგულირების შესახებ" ფარგლებში.

კვლევა განხორციელდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან (სემეკ) არსებულ ა(ა)იპ ,,ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის" მიერ 2024 წლის აპრილი–მაისის პერიოდში, ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორის/ავტორების მიერ, დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის პოზიციას. შესაბამისად ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი არ არის პასუხისმგებელი დოკუმენტის შინაარსზე.

დოკუმენტზე მუშაობდნენ:

მარიამ იოსელიანი	თემურ თორდინავა	ელეონორა ლაგვილავა
გიორგი შენგელია	ნუგზარ ბერიძე	ქეთევან ბერიკაშვილი
რევაზ გერაძე	ლია გვაზავა	სალომე ჯანელიძე

შინაარსი

I. საქართველოს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორის მარეგულირებელი ჩარჩოს მიმოხილვა და ანალიზი ---------- 6

II. რაოდენობრივი კვლევის შედეგები (ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით)---------- 21

III. თვისებრივი კვლევის შედეგები (ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით)---------- 28

IV. დასკვნები და ძირითადი ტენდენციები---------- 30

ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი

Visegrad Fund

ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი

ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი (IVF) ახორციელებს რეგიონული თანამშრომლობის მხარდაჭერას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების გაღრმავების, იდეების გაცვლისა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით. მხარს უჭერს რა ცენტრალურ ევროპაში ევროპული ღირებულებების პოპულარიზაციას, IVF ისწრაფვის გააძლიეროს კავშირები უკეთესი მომავლის შექმნისათვის.

ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი

ა(ა)იპ „ელიზბარ ერისთავის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი“ (ENTC), რომელიც დაარსდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში– კომისია) მიერ, აძლიერებს დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობებს ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში. საგანმანათლებლო პროგრამების, ცნობიერების ამაღლებისა და ცოდნის გაცვლის გზით, ცენტრი პასუხობს აღნიშნულ სექტორთა გამოწვევებს, ხელს უწყობს თანამშრომლობას და იყენებს ინოვაციურ ინსტრუმენტებს უფრო ნათელი ენერგეტიკული მომავლისთვის.

პროექტის პარტნიორები

სლოვაკეთის საგარეო პოლიტიკის ასოციაციის კვლევითი ცენტრი (RC SFPA), სლოვაკეთი

სლოვაკეთის საგარეო პოლიტიკის ასოციაციის კვლევითი ცენტრი (RC SFPA), ბრატისლავაში დაფუძნებული ანალიტიკური ცენტრია, რომელიც ხელს უწყობს ინფორმირებულ საგარეო პოლიტიკას დამოუკიდებელი კვლევის, აქტიური დებატებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის პრაქტიკული რეკომენდაციების მეშვეობით. კრიტიკული ანალიზის გამოყენებითა და საზოგადოების ჩართულობით, ორგანიზაცია აქვეყნებს მრავალფეროვან პუბლიკაციებს, მასპინძლობს საერთაშორისო ექსპერტთა ფორუმებს და აძლიერებს მომავალ თაობებს, რათა გაუმკლავდნენ გლობალურ გამოწვევებს.

კარლის უნივერსიტეტის გარემოსდაცვითი ცენტრი, ჩეხეთი

კარლის უნივერსიტეტის გარემოსდაცვითი ცენტრი, როგორც კარლის უნივერსიტეტის ნაწილი, არის წამყვანი დაწესებულება გარემოსდაცვითი კვლევის სფეროში, რომელიც მუშაობს სოციალურ–ეკონომიკური მიმართულებით. ცენტრი უზრუნველყოფს საკონსულტაციო და საექსპერტო მხარდაჭერას, როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის მდგრადობის ინდიკატორებისა და განათლების, პროეკოლოგიური ქცევის, გარემოსდაცვითი და ენერგეტიკის ეკონომიკის სფეროში.

ფონდი “პარტნიორები კლიმატისთვის” (P4C), პოლონეთი

ფონდი “პარტნიორები კლიმატისთვის” (P4C) მოქმედებს, როგორც აქტივატორი პოლონეთსა და მის ფარგლებს გარეთ კლიმატ–ნეიტრალური მომავლის შექმნის მიზნით. მის მიერ მხარდაჭერილი ინიციატივებით, რომელთა მიზანია CO2–ის ემისიების შემცირება, P4C ხელს უწყობს რეალურ ცვლილებებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ხელმძღვანელობს რა უკეთესი სამყაროს ხედვით, P4C მიისწრაფვის ყველასთვის მდგრადი მომავლის უზრუნველყოფისკენ.

კვლევის შესახებ

კვლევის ფარგლებში განხორციელდა საქართველოში ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების მარეგულირებელი, ეროვნული და საერთაშორისო/ევროპული საკანონმდებლო აქტების, ქართული კანონმდებლობის ევროპულ დირექტივებთან ჰარმონიზაციის პროცესის მიმოხილვა და ანალიზი.

შესწავლილ იქნა ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები, ძირითადი ტენდენციები, გამოწვევები და საჭიროებები.

ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის გუნდის პოზიციაა, რომ კვლევის შედეგები სექტორისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი გახდება, მათ შორის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორების მარეგულირებელი სისტემის ძირთადი მიმართულებების და საქმიანობის აღწერა–ანალიზი, სამართლებრივ–მარეგულირებელი ჩარჩოს მიმოხილვა, ძირითადი ტენდენციების, გამოწვევების და საჭიროებების გამოვლენა.

კვლევის მეთოდოლოგია წარმოდგენილი იყო თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით. კვლევის ინსტრუმენტებად და მექანიზმებად გამოყენებულ იქნა: სამაგიდე კვლევა, გამოკითხვა და ფოკუს ჯგუფები. რაოდენობრივი მონაცემების მოსაპოვებლად კი გამოყენებულ იქნა ონლაინ–გამოკითხვის ფორმა, კერძოდ, Google Forms.

კვლევის თვისებრივი კომპონენტის განხორციელება მოხდა ფოკუს–ჯგუფის მეთოდით. რაოდენობრივი გამოკითხვებისა და თვისებრივი მეთოდების გამოყენების შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა სტატისტიკური პროგრამა IBM SPSS–ს საშუალებით. კვლევის განხორციელების არეალს წარმოადგენდა სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონი (ზუგდიდის, სენაკის, წალენჯიხის, მესტიის და ფოთის მუნიციპალიტეტები) და დედაქალაქი თბილისი. სამიზნე აუდიტორიის რაოდენობა, რომლებმაც კვლევაში მიიღეს მონაწილეობა, განისაზღვრა 300–მდე მონაწილით. მიზნობრივ აუდიტორიას წარმოადგენდნენ:

- ენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორის რეგულირებადი კომპანიების წარმომადგენლები სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონიდან და თბილისიდან;
- ენერგეტიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები და აკადემიური წრის წარმომადგენლები;
- სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის თვითმმართველობის წარმომადგენლები;
- მედიის წარმომადგენლები.

I. თავი. საქართველოს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორის მარეგულირებელი ჩარჩოს მიმოხილვა და ანალიზი.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხორციელდა საქართველოში ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორის მარეგულირებელი, ეროვნული და საერთაშორისო/ევროპული საკანონმდებლო აქტების, ასევე ქართული კანონმდებლობის ევროპულ დირექტივებთან ჰარმონიზაციის პროცესის მიმოხილვა და ანალიზი. წინამდებარე მიმოხილვა მოიცავს ამონარიდებს კომისიის ანგარიშებიდან.

1. ჰარმონიზაცია ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობასთან

2014 წლის 27 ივნისს, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ხელი მოეწერა „ასოცირების შესახებ შეთანხმებას“.

ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება, თავისი კანონმდებლობა განსაზღვრულ ვადებში, ეტაპობრივად დაეახლოებინა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან. 2016 წლის 14 ოქტომბერს ხელი მოეწერა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმს, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის დანერგვის პირობებს და რომლის რატიფიცირებაც საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 21 აპრილს მოახდინა. შედეგად, 2017 წლის 1 ივლისიდან, საქართველო ოფიციალურად გახდა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების ხელშემკვრელი მხარე.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერითა და ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებით, საქართველომ აიღო ვალდებულება, განახორციელოს რეფორმები ენერგეტიკის სექტორში და საფუძველი ჩაუყაროს ევროპულ ენერგეტიკულ ბაზართან დაახლოებას. ევროპული ლიბერალური ენერგეტიკული კანონმდებლობის ერთ–ერთი მთავარი მიზანია საბითუმო და საცალო ბაზრებზე ვაჭრობის ხელშეწყობა და ამისათვის მონოპოლიური და კონკურენტული საქმიანობების განცალკევება – გადაცემისა და განაწილების საქმიანობების განცალკევება წარმოებისა და მიწოდების საქმიანობებისგან.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე მიერთების ოქმზე ხელმოწერის შედეგად, საქართველომ საკუთარი კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების ვალდებულება აიღო, რაც ენერგეტიკის სექტორში მნიშვნელოვან რეფორმებს ითვალისწინებს. მესამე ენერგეტიკული პაკეტი მოიცავს ორ დირექტივასა და სამ რეგულაციას: 2009/72/EC დირექტივა ელექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ; 2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ; 714/2009 რეგულაცია ელექტროენერგიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ქსელზე დაშვების შესახებ; 715/2009 რეგულაცია ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელებზე დაშვების შესახებ; 713/2009 რეგულაცია ენერგეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომლობის სააგენტოს (ACER) დაფუძნების შესახებ.

მესამე ენერგეტიკული პაკეტი ძირითად ყურადღებას ამახვილებს მომხმარებელთა დაცვაზე, ენერგეტიკულ ბაზრებზე კონკურენციის გაზრდასა და დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბებაზე. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს არსებობა ევროკავშირის კანონმდებლობის ერთ–ერთი ძირითადი მოთხოვნაა. დირექტივებით დადგენილია, რომ ეროვნული მარეგულირებელი ორგანო უნდა იყოს ფუნქციურად, ფინანსურად და სამართლებრივად დამოუკიდებელი უწყება. ფუნქციური დამოუკიდებლობა გულისხმობს, რომ მარეგულირებელი

ორგანო უნდა იყოს ნებისმიერი საჯარო თუ კერძო ორგანიზაციისა თუ თანამდებობის პირისაგან დამოუკიდებელი და არ უნდა იღებდეს არანაირ მითითებებს. გარდა ამისა, მის პერსონალსა და მენეჯმენტზე პასუხისმგებელ პირებს არ უნდა გააჩნდეთ ნებისმიერი სახის საბაზრო ინტერესი. დამატებით, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს თანამშრომლები და მართვის უფლების მქონე პირები არ უნდა იღებდნენ პირდაპირ მითითებებს. მითითება ამ შემთხვევაში გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ზეგავლენას მოახდენს მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. რეგულირების მიზანია რეგულირებადი საწარმოებისა და მომხმარებლების ინტერესების დაცვა არსებული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ამ მიზნების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია, რომ მარეგულირებელი იყოს დამოუკიდებელი, ძლიერი და მაღალი პროფესიონალიზმის მქონე ორგანო. ენერგეტიკის სექტორის რეგულირებას საქართველოში ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში – კომისია), რაც შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიების გაცემას, ტარიფების დადგენას, ბაზრების მონიტორინგს, სადავო საკითხების გადაწყვეტასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს. ეფექტური მარეგულირებლის არსებობა გულისხმობს როგორც პოლიტიკურ და ფინანსურ დამოუკიდებლობას, ასევე რეგულირებისათვის საჭირო კომპეტენციებისა და უფლებამოსილებების ქონას. ევროკავშირის დირექტივების გარდა, ენერგეტიკის სფეროს რეგულირების ძირითადი ასპექტები მოცემულია საქართველოს კანონმდებლობაში. საქართველოს კონსტიტუციის მე–7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება ერთიანი ენერგეტიკული სისტემა, ხოლო 52–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრობის კანდიდატებს. ენერგეტიკის სფეროს რეგულირების ძირითად ნორმატიულ დოკუმენტს წარმოადგენს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც სამართლებრივ ჩარჩოს ქმნის საქართველოს კანონმდებლობაში ევროპის კავშირის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გასათვალისწინებლად და ასამოქმედებლად.

2022 წლის 15 დეკემბერს ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრთა საბჭომ მიიღო ე.წ. „ელექტროენერგიის ინტეგრაციის პაკეტი“. პაკეტი მოიცავს კანონმდებლობას ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიის, ელექტროენერგეტიკული ბაზრის მოწყობის და ელექტრომომარაგების უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის ინტეგრირებული ბაზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებას ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელ მხარეებსა და მეზობელ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, მათ შორის ბაზრის დაწყვილებას (market coupling).

ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, წევრ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, დაევალათ აღნიშნულ პაკეტში შემავალი დირექტივების მოთხოვნების გადატანა ეროვნულ კანონმდებლობაში. „ელექტროენერგიის ინტეგრაციის პაკეტი“ მოიცავს პაკეტში „სუფთა ენერგია ყველა ევროპელისთვის“ შემავალ შემდეგ დირექტივებსა და რეგულაციებს:

- ელექტროენერგიის შიდა ბაზრის საერთო წესების დირექტივა 2019/944 – ითვალისწინებს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილების, მიწოდებისა და შენახვის მარეგულირებელ წესებს. დირექტივა ხელს უწყობს განახლებადი ენერგიის წყაროების ქსელთან ინტეგრაციას და შესაძლებლობას აძლევს მომხმარებლებს, აქტიურად ჩაერთონ ბაზრის ფუნქციონირებაში, თვითონ აწარმოონ, მოიხმარონ ან გაყიდონ ელექტროენერგია.
- ელექტროენერგიის შიდა ბაზრის რეგულაცია (EU) 2019/943 – განსაზღვრავს ელექტროენერგიის ერთიანი საბითუმო ბაზრის წესებსა და ქსელის ოპერირების პრინციპებს.

- ელექტროენერგიის სექტორში რისკისთვის მზადყოფნის რეგულაცია (EU) 2019/941– ადგენს ხელშემკვრელი სახელმწიფოების ვალდებულებას, მოამზადონ სათანადო გეგმები ელექტროენერგეტიკის სექტორში კრიზისულ სცენარებთან გასამკლავებლად.
- ენერგეტიკის მარეგულირებლებთა შორის თანამშრომლობისთვის ევროკავშირის სააგენტოს დაარსების შესახებ რეგულაცია (EU) 2019/942 – ითვალისწინებს ენერგეტიკის მარეგულირებლებთა შორის თანამშრომლობისთვის ევროკავშირის სააგენტოს (ACER) ახალ როლსა და ფუნქციებს.

2021 წლის 30 ნოემბერს ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრთა საბჭომ ასევე მიიღო დეკარბონიზა–ციის საგზაო რუკა, პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც დეკარბონიზაციასთან დაკავშირებული წესებისა და რეგულაციების ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანასა და განხორციელებას ემსახურება, ამის მიზანი 2050 წლისთვის ენერგეტიკული გაერთიანების კლიმატ–ნეიტრალობის მიღწევის მხარდაჭერაა.

ენერგეტიკული გაერთიანების საკანონმდებლო ბაზის ტრანსპოზიცია ეროვნულ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მიზნებისათვის. აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკის სექტორში ევროპული კანონმდებლობის გადმოტანა საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლების, ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის გზა და საშუალებაა.

საქართველომ უკვე დაიწყო მუშაობა მეოთხე ენერგეტიკული პაკეტის ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის მიზნით, მომზადებულია და საკანონმდებლო ორგანოში განხილვის მიზნით დაინიცირებულია ცვლილებების პაკეტი „ენერგოეფექტურობის შესახებ" საქართველოს კანონში. ასევე მომზადდა „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის გამოყენების და წახალისების შესახებ" საქართველოს კანონის ცვლილების პროექტი, რომელიც უახლოეს მომავალში დაინიცირდება. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებსა და მარეგულირებელ ქმედებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს კომისიის მიერ სუფთა ენერგიის პაკეტის მოთხოვნების შესასრულებლად.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 20 დეკემბერს მიიღო. იგი ადგენს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში წარმოების, გადაცემის, განაწილების, მიწოდებისა და ვაჭრობის ზოგად სამართლებრივ ჩარჩოს. ახალი კანონი ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს საქართველოს კანონმდებლობაში მესამე ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნათა მისაღებად და ასამოქმედებლად. მისი მიზანია, უზრუნველყოს გამართული, გამჭვირვალე და კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრის შექმნის, გახსნის, განვითარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობა. კანონი ასევე აწესრიგებს კონკურენტულ ენერგეტიკულ ბაზარზე თავისუფალ დაშვებას.

კანონით შეიქმნა სამართლებრივი ჩარჩო საქართველოს კანონმდებლობაში ევროკავშირის შემდეგი სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გასათვალისწინებლად და ასამოქმედებლად:

- 2009 წლის 13 ივლისის N2009/72/EC დირექტივა ელექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ, რომლითაც გაუქმდა დირექტივა N2003/54/EC;
- 2009 წლის 13 ივლისის N714/2009(EC) რეგულაცია ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დაშვების პირობების შესახებ, რომლითაც გაუქმდა რეგულაცია (EC) N1228/2003;
- 2006 წლის 18 იანვრის N2005/89/EC დირექტივა ელექტროენერგიის მიწოდებისა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ;
- 2009 წლის 13 ივლისის N2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების დაწესების შესახებ, რომლითაც გაუქმდა დირექტივა N2003/55/EC;

- 2009 წლის 13 ივლისის (EC)N715/2009 რეგულაცია ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელებზე დაშვების პირობების შესახებ, რომლითაც გაუქმდა რეგულაცია (EC)N1775/2005;
- 2004 წლის 26 აპრილის N2004/67/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ.

აღნიშნული სამართლებრივი აქტების მოთხოვნები საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის მიზნით კანონის მიღების შემდგომ, 2020–2024 წლებში, კომისიამ მიიღო ენერგეტიკის მარეგულირებელი არაერთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასა და კომისიაში ათწლეულების განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

2. ელექტროენერგეტიკის სექტორში ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით მიღებული მარეგულირებელი აქტები

საქართველოში ელექტროენერგიით როგორც საცალო, ისე საბითუმო ვაჭრობასთან დაკავშირებული წესები განსაზღვრული იყო „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით, მის საფუძველზე მიღებული კომისიის აქტებითა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“. კერძოდ, ელექტროენერგიის ბაზრის ახალ მოდელზე გადასვლამდე მოქმედი კანონმდებლობა ელექტროენერგიით ვაჭრობასთან დაკავშირებით მოიცავდა ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობის, ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, ექსპორტის, რეექსპორტის, იმპორტის, ტრანზიტისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ამ საქმიანობების სრულფასოვნად წარმართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ელექტროენერგეტიკული სექტორის გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირების თვალსაზრისით. საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების – ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების – უზრუნველსაყოფად, აუცილებელი გახდა ელექტროენერგიის ბაზრის მომწესრიგებელი კანონმდებლობის გადამუშავება და განახლება. სწორედ ამ მიზნით, კომისიის მიერ განხორციელდა ენერგეტიკის მარეგულირებელი არაერთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება, საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასა და კომისიაში ათწლეულების განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

2.1. ელექტროენერგიის საცალო ბაზარი

ელექტროენერგიის საცალო ბაზარზე ურთიერთობების რეგულირების მიზნით, კომისიამ 2020 წლის 13 აგვისტოს, №47 დადგენილებით დაამტკიცა „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესები“, რომელიც ასახავს მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობების რეგულირების საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას. დადგენილება მოიცავს ელექტროენერგიის მიწოდების წესებს, უნივერსალური მომსახურების მიწოდების წესებს, ბოლო ალტერნატივის მიწოდების წესებს, მიმწოდებლის შეცვლის წესებსა და ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების წესებს. დადგენილება ითვალისწინებს საბოლოო მომხმარებლის უფლებას, დამოუკიდებლად შეარჩიოს მისთვის მისაღები მიმწოდებელი, შეთავაზებული მიწოდების ფასისა და მომსახურების პირობების გათვალისწინებით. აღნიშნული წარმოადგენს კონკურენტული საცალო ბაზრის განვითარების წინაპირობას და ხელს უწყობს თითოეული მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული მომსახურების პირობების გაუმჯობესებას, მომსახურების უკეთესი ხარისხით განხორციელებასა და მომხმარებლისათვის უფრო ხელსაყრელი მიწოდების ფასის შეთავაზებას. საბოლოო მომხმარებლის შესაძლებლობა, შეიცვალოს მიმწოდებელი, წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ელექტროენერგეტიკული ბაზრის გახსნის, მისი დინამიკურობისა და აქტიური ფუნქციონირების ხელშესაწყობად. ამ მიზნით, კომისიის

მიერ განისაზღვრა მიმწოდებლის შეცვლის სწრაფი, საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული, მარტივი და უფასო პროცედურა. დადგენილება განსაზღვრავს ელექტროენერგიის მიმწოდებელსა და საბოლოო მომხმარებელს შორის ურთიერთობის ზოგად მარეგულირებელ ჩარჩოს და ადგენს მიმწოდებლისა და საბოლოო მომხმარებლის უფლება–მოვალეობებს, მიმწოდებლის მიერ საბოლოო მომხმარებელთან მიწოდების ხელშეკრულების დადების, მისი პირობების შეცვლის, საბოლოო მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების, მისთვის მომსახურების გაწევის წესებსა და პირობებს, აგრეთვე, მიმწოდებლის უფლებამოსილებებს არასაყოფაცხოვრებო საბოლოო მომხმარებელთან მიმართებით, მათ შორის, პირგასამტეხლოს დაკისრებისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისაგან განსხვავებული პირობებით მიწოდების ხელშეკრულების დადების წესს. დადგენილება ასევე ასახავს ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობის მოთხოვნებს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე საწარმოებისათვის დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის თვალსაზრისით და არეგულირებს ურთიერთობებს, ერთი მხრივ, ელექტროენერგიის უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელსა და, მეორე მხრივ, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებსა და მცირე საწარმოებს შორის. დადგენილება განსაზღვრავს ელექტროენერგიის ბოლო ალტერნატივის მიწოდების პირობებს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც ელექტროენერგიის მიმწოდებლის მიერ საქმიანობის შეწყვეტის ან ვალდებულებების უხეშად დარღვევის გამო საბოლოო მომხმარებელი კარგავს ელექტროენერგიის მიღებისშესაძლებლობას. აღნიშნულიმომსახურებაწარმოადგენს„ენერგეტიკისადაწყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით შემოთავაზებულ მნიშვნელოვან სიახლეს საბოლოო მომხმარებლის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. რაც შეეხება დადგენილებით გათვალისწინებულ საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიწოდების პირობებს, მათი მიზანია, განსაზღვროს ისეთი სპეციალური დებულებები, როგორიცაა საჯარო მომსახურების სახით მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის პირობები და ხელშეკრულების დადების/საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიწოდების სტანდარტულ ხელშეკრულებაზე მიერთების წესი და ვადები.

ელექტროენერგეტიკის სექტორში გარდამავალი ღონისძიებების განხორციელების რეგულირება

ახალი მარეგულირებელი გარემოს გათვალისწინებით, ელექტროენერგიის ბაზრების გახსნისთვის ბაზრის მონაწილეების მზადყოფნის უზრუნველსაყოფად კომისიამ 2020 წლის 12 ნოემბრის №58 დადგენილებით დაამტკიცა „ელექტროენერგეტიკის სექტორში გარდამავალი ღონისძიებები“. დადგენილება მიზნად ისახავს, განსაზღვროს გარდამავალი პერიოდისათვის ელექტროენერგეტიკის სექტორში, მათ შორის, ელექტროენერგიის საბითუმო და საცალო ბაზრებზე განსახორციელებელი ღონისძიებების შინაარსი, ფორმა, ასევე ამ ღონისძიებების განხორციელების ვადები და შესაბამისი პასუხისმგებელი სუბიექტები. დადგენილებაში სპეციალური ნორმებით განსაზღვრულია ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორის, ელექტროენერგიის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორისა და ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორის ვალდებულებები. გარდა ამისა, მოწესრიგებულია გარდამავალი პერიოდისათვის დაბალანსებაზე პასუხისმგებელ პირად ან დაბალანსების ჯგუფის წევრად რეგისტრაციის წესები და პირობები. დადგენილება ასევე აწესრიგებს გარდამავალ პერიოდში ელექტროენერგიის საცალო ბაზარზე განსახორციელებელ ღონისძიებებს, მათ შორის, საბოლოო მომხმარებლების მიერ უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლისაგან ან საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლისაგან მომსახურების ავტომატურად მიღების პირობებსა და გარდამავალ პერიოდში მოხმარებული ელექტროენერგიის დარიცხვის წესს.

2.2 ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი

ბაზრის კონცეფცია

საქართველოს მთავრობამ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 162–ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ პუნქტის შესაბამისად, 2020 წლის 16 აპრილს, №246 დადგენილებით, ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის ახალი კონცეფცია დაამტკიცა. ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის ახალი კონცეფცია, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონის შესაბამისად, აყალიბებს საქართველოში ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ორგანიზებისა და ფუნქციონირების სახელმძღვანელო პრინციპებს, ელექტროენერგიის ბაზრის ისეთი მოდელის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნას და განსაზღვრავს სამიზნე მოდელზე გადასასვლელად განსახორციელებელ ღონისძიებებს. კონცეფციამ განსაზღვრა საბითუმო ელექტროენერგეტიკული ბაზრის სეგმენტები: დღით ადრე ბაზარი, დღიური ბაზარი და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზარი. კონცეფციამ აგრეთვე განსაზღვრა ბაზრის სუბიექტები: ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი, გადამცემი სისტემის ოპერატორი, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, ელექტროენერგიის მწარმოებელი, ტრეიდერი, მიმწოდებელი და მსხვილი მომხმარებელი. კონცეფციამ, საერთო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე (მიწოდების უსაფრთხოების, უწყვეტობის, სათანადო ხარისხითა და ფასით ელექტროენერგიის მიწოდების უზრუნველყოფის, აგრეთვე განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის წარმოების ხელშეწყობის მიზნით), განსაზღვრა საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება, რომელიც დაეკისრება საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციას, უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელს, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელს, ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიმწოდებელს, საჯარო მომსახურების გამწევ ელექტროენერგიის მწარმოებელს, მათ შორის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს და დაადგინა მათი ანგარიშსწორების, აგრეთვე, ფინანსური უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები. კონცეფციამ განსაზღვრა გარდამავალი პერიოდის ძირითადი ღონისძიებების კალენდარი, მათ შორის ელექტროენერგიის წარმოების შესაბამის წყაროებზე საჯარო ვალდებულებების დაკისრების პერიოდები და ბაზრის ლიბერალიზაციის — გახსნის (მომხმარებლების ნაწილში) ეტაპები.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის წესები

ელექტროენერგიის კონკურენტული ბაზრის განვითარებისა და სამართლიანი ფასის ფორმირებისათვის საჭირო სამართლებრივი გარემოს, მათ შორის, ბაზარზე ახალი მონაწილეების შესვლის ხელშეწყობის მიზნით, კომისიამ 2020 წლის 11 აგვისტოს №46 დადგენილებით დაამტკიცა „ელექტროენერგიის ბაზრის წესები“, რომელიც მოიცავს ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების, აგრეთვე საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესებს. დადგენილება ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ ბაზრებზე ფასწარმოქმნის პრინციპებს, მონაწილედ რეგისტრაციის, ვაჭრობის შესახებ ინფორმაციის გაცვლის, განაცხადების/სატენდერო წინადადებების განთავსების და ფინანსური ანგარიშსწორების პირობებსა და პროცედურებს, კერძოდ, დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ელექტროენერგიით ვაჭრობის პერიოდია საათი (60 წუთი), რაც გულისხმობს ელექტროენერგიის ფასისა და რაოდენობის განსაზღვრას საათობრივად. ამასთან, დღით ადრე ბაზარზე ფასი განისაზღვრება თითოეული განაცხადის ფასისა და რაოდენობის შესაბამისად შედგენილი მიწოდებისა და მოთხოვნის აგრეგირებული მრუდების გადაკვეთის წერტილის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს წონასწორობის წერტილს და განსაზღვრავს დღით ადრე ბაზარზე კონკრეტულ საათში ნავაჭრი ელექტროენერგიის რაოდენობასა და საბაზრო ფასს. დღიურ ბაზარზე ელექტროენერგიის ფასი განისაზღვრება განაცხადის ფასის პრინციპით, რაც გულისხმობს ელექტროენერგიის ყიდვისა და გაყიდვის განაცხადების დაწყვილებას შესატყვისი ფასის, რაოდენობისა და ფიზიკური მიწოდების პერიოდის მიხედვით. დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე მონაწილეობა შეუძლია ელექტროენერგეტიკულ საწარმოს, რომელიც გაწევრიანებულია დაბალანსების ჯგუფში, „ელექტროენერგიის საბალანსო და დამხმარე

მომსახურებების ბაზრის წესების" შესაბამისად, აღნიშნულს ასევე უნდა ჰყავდეს ბირჟის ოპერატორის მიერ ორგანიზებული გამოცდის შესაბამისად სერტიფიცირებული სავაჭრო წარმომადგენელი. დღით ადრე და დღიური ბაზრის წესები ასევე განსაზღვრავს ბირჟის ოპერატორის ვალდებულებას, მოახდინოს მონაწილეთა ქცევაზე დაკვირვება, ხოლო მონაწილეთა მიერ დარღვევების არსებობის შემთხვევაში მან ამის თაობაზე უნდა აცნობოს კომისიას. ამასთან, ბირჟის ოპერატორი უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთათვის ბირჟაზე განაცხადების განთავსებაში ტექნიკურ დახმარებას, საჭიროების შემთხვევაში, საათობრივი ელექტროენერგიის ფასის დადგენას ევროპული ბაზრების ინტეგრირების ალგორითმის (EUPHEMIA) გამოყენებით და ვაჭრობისას შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მონაწილეებისთვის. აღსანიშნავია, რომ ბირჟის ოპერატორი, როგორც ცენტრალური ფინანსური მხარე, წარმოადგენს ელექტროენერგიის ყიდვა–გაყიდვის შესახებ ბირჟაზე დადებული ხელშეკრულების მხარეს და პასუხისმგებელია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე. შესაბამისად, ბირჟის ოპერატორი ვალდებულია, უზრუნველყოს მონაწილეებისათვის გაყიდული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი სუბიექტების მიერ გადახდილი თანხა/წარდგენილი გარანტია ამისათვის საკმარისი არ არის. აქედან გამომდინარე, ბირჟაზე მონაწილეობისათვის მონაწილე ვალდებულია წინასწარ წარმოადგინოს ფინანსური გარანტიები, ხოლო ვაჭრობის დასრულების შემდგომ შესყიდული ელექტროენერგიისათვის ბირჟის ოპერატორის მიერ მომდევნო დღეს წარდგენილი ინვოისების შესაბამისად უზრუნველყოს მითითებული თანხის გადარიცხვა ბირჟის ოპერატორის ანგარიშზე, რის საფუძველზეც ბირჟის ოპერატორი ახდენს გაყიდული ელექტროენერგიისათვის შესაბამისი მონაწილეებისათვის წარდგენილი ინვოისების შესაბამისად მითითებული თანხის გადარიცხვას.

2.3. ლიცენზიატები ელექტროენერგეტიკის სექტორში

საქართველოში ელექტროენერგეტიკის სექტორში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფუნქციონირებს 27 ლიცენზიატი, მათ შორის:

- წარმოების — 22;
- განაწილების — 2;
- გადაცემის — 1;
- ბაზრის ოპერირების – 2.

3. ბუნებრივი გაზის სექტორში ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით მიღებული კომისიის აქტები

ბუნებრივი გაზის ბაზარი მოიცავს ბუნებრივი გაზის საცალო და საბითუმო ბაზრებს. ჯერჯერობით საქართველოში არ არსებობს ბუნებრივი გაზის ორგანიზებული ბაზარი, რის გამოც ბუნებრივი გაზის ყიდვა–გაყიდვა საბითუმო ბაზარზე ხდება მხოლოდ ორმხრივი ხელშეკრულებების მეშვეობით. მიმწოდებლები ახორციელებენ ბუნებრივი გაზის იმპორტსა (ან მცირე ოდენობის მოპოვებული ბუნებრივი გაზის შესყიდვას) და მის გადაყიდვას სხვა მიმწოდებლებზე, ხოლო საცალო დონეზე მიმწოდებლები უშუალოდ აწვდიან საბოლოო მომხმარებლებს. აღნიშნული არ გამორიცხავს ერთი მიმწოდებლის აქტივობას ბაზრის ორივე დონეზე.

3.1 ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზარი

ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფცია

საქართველოს მთავრობამ „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 129–ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2021 წლის 2 სექტემბრის №447 16 დადგენილებით დაამტკიცა ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფცია. აღნიშნული კონცეფცია, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აყალიბებს საქართველოში ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზრის ორგანიზებისა და ფუნქციონირების სახელმძღვანელო პრინციპებს ბუნებრივი გაზის ბაზრის ისეთი მოდელის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნასა და გამჭვირვალე და კონკურენტული ბაზრების განვითარების გზით მომხმარებლისათვის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას როგორც საბითუმო, ისე საცალო დონეზე, ასევე განსაზღვრავს სამიზნე მოდელზე გადასასვლელად განსახორციელებელ ღონისძიებებს. კონცეფციამ განსაზღვრა ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზრის სეგმენტები და სუბიექტები. საბითუმო ბაზრის ნებისმიერი მონაწილე თავისუფალია, ივაჭროს მისთვის სასურველ სეგმენტზე. კონცეფციით, კანონის შესაბამისად განისაზღვრა, რომ საერთო ეკონომიკური ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით (მიწოდების უსაფრთხოების, ხარისხისა და კონკურენტული მიწოდების ფასის, აგრეთვე გარემოს დაცვის, ენერგოეფექტიანობისა და მომხმარებლების დაცვის მიზნით), საქართველოს მთავრობამ ენერგეტიკულ საწარმოს შეიძლება დააკისროს საჯარო მომსახურების ვალდებულებები. საჯარო მომსახურების ვალდებულება შეძლებისდაგვარად მცირე გავლენას უნდა ახდენდეს ბაზრის ლიბერალიზაციაზე და მისი დაკისრება უნდა მოხდეს კანონის შესაბამისად, კომისიასა და სხვა კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოებთან, ასევე ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან კონსულტაციის შემდეგ. კონცეფციით ბუნებრივი გაზის ბირჟის ჩამოყალიბებისა და მოქმედების ვადად განისაზღვრა ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესებით ბაზრის მონაწილეებისათვის დღიური დაბალანსების ვალდებულების ძალაში შესვლის მომენტი (დაბალანსების საკითხი დარეგულირებულია კომისიის ნორმატიული აქტით და ვალდებულების ამოქმედების ბოლო ვადად განსაზღვრულია 2024 წლის დეკემბერი).

3.2 ბუნებრივი გაზის საცალო ბაზარი

ბუნებრივი გაზის საცალო ბაზრის წესები

ბუნებრივი გაზის საცალო ბაზარზე ურთიერთობების რეგულირების მიზნით კომისიამ 2021 წლის 28 დეკემბერს №60 დადგენილებით დაამტკიცა „ბუნებრივი გაზის საცალო ბაზრის წესები“ (შემდგომში – ბუნებრივი გაზის საცალო ბაზრის წესები), რომელიც, ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესების ანალოგიურად, ასახავს ბუნებრივი გაზის მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობების რეგულირების საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას. ბუნებრივი გაზის საცალო ბაზრის წესები მოიცავს ბუნებრივი გაზის მიწოდების წესებს, ბუნებრივი გაზის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების წესებს, ბოლო ალტერნატივის მიწოდების წესებსა და მიმწოდებლის შეცვლის წესებს. ბუნებრივი გაზის საცალო ბაზრის წესებით უზრუნველყოფილია საბოლოო მომხმარებლის უფლება, დამოუკიდებლად შეარჩიოს მისთვის მისაღები მიმწოდებელი, შეთავაზებული მიწოდების ფასისა და მომსახურების პირობების გათვალისწინებით, რაც წარმოადგენს ბუნებრივი გაზის კონკურენტული საცალო ბაზრის განვითარების წინაპირობას. ბუნებრივი გაზის საცალო ბაზრის წესები ადგენს ბუნებრივი გაზის მიმწოდებლისა და საბოლოო მომხმარებლის უფლება–მოვალეობებს, მიმწოდებლის მიერ საბოლოო (როგორც საყოფაცხოვრებო, ისე — არასაყოფაცხოვრებო) მომხმარებელთან მიწოდების ხელშეკრულების დადების, მისი პირობების შეცვლის, საბოლოო მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების, აგრეთვე მისთვის მომსახურების გაწევის წესებსა და პირობებს. ბუნებრივი გაზის საცალო ბაზრის წესები ასევე სრულად ასახავს ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობის

მოთხოვნებს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე საწარმოებისათვის დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის თვალსაზრისით და არეგულირებს ბუნებრივი გაზის საჯარო მომსახურების სახით მიმწოდებლის საქმიანობას; წესები აგრეთვე განსაზღვრავს ბუნებრივი გაზის ბოლო ალტერნატივის მიწოდების პირობებს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის მიერ საქმიანობის შეწყვეტის ან ვალდებულებების უხეშად დარღვევის გამო საბოლოო მომხმარებელი კარგავს ბუნებრივი გაზის მიღების შესაძლებლობას. ბუნებრივი გაზის საცალო ბაზრის წესებით გათვალისწინებულია მიმწოდებლის შეცვლის სწრაფი, საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული, მარტივი და უფასო პროცედურა, რომლის დანერგვაც ხელს შეუწყობს ბუნებრივი გაზის საცალო ბაზრის გახსნას, მის დინამიკურობასა და აქტიურ ფუნქციონირებას.

ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის წესები

კომისიის 2018 წლის 31 აგვისტოს №22 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის ქსელის წესები“ ერთ დოკუმენტში აერთიანებდა ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილების ქსელის წესებს, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კი, ბუნებრივი გაზის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის წესები ორი დამოუკიდებელია აქტია და კანონი მათი მიღების განსხვავებულ პროცედურებს ითვალისწინებს. „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით კომისიამ 2021 წლის 31 დეკემბრის №80 დადგენილებით დაამტკიცა „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის წესები“, რომლის მიზანია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საკითხების დეტალური მოწესრიგება ბუნებრივი გაზის სექტორში დღეს არსებულ რეგულაციებთან ჰარმონიზაციის გზით, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სიახლეების პრაქტიკაში მაქსიმალურად ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა. „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის წესები“ არეგულირებს ბუნებრივი გაზის განაწილებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს, მიმწოდებელსა და საბოლოო მომხმარებელს შორის, ასევე, აწესრიგებს ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორსა და ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორს შორის ურთიერთობებს. „გამანაწილებელი ქსელის წესების“ დამტკიცებით დარეგულირდა ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელთან დაკავშირებული სამართალურთიერთობები, კერძოდ, გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთება, გამანაწილებელ ქსელზე მისაერთებელი მოცულობის გაზრდა, დროებითი მიერთება, მრიცხველის შემოწმება, ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარება და სხვა საკითხები. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ დადგენილებაში გაერთიანდა როგორც კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცებულ „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებში“, აგრეთვე, კომისიის 2018 წლის 31 აგვისტოს №10 დადგენილებით დამტკიცებულ „ბუნებრივი გაზის ქსელის წესებში“ მოცემული გამანაწილებელ ქსელთან დაკავშირებული რეგულაციები.

ქსელის სისტემის ოპერატორის მიერ წილების/საოპერაციო აქტივების გასხვისებასა და კომპანიების შერწყმაზე თანხმობის გაცემა

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს სისტემის ოპერატორის მიერ წილების/საოპერაციო აქტივების გასხვისებასა და კომპანიების შერწყმის განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, კანონის 16^1 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს შესაბამისი სისტემის ოპერატორის მიერ კომისიისთვის წინასწარი შეტყობინების გაკეთების ვალდებულებას, თუ არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს სისტემის ოპერატორის შერწყმა ან/და 5 პროცენტი ან 5 პროცენტზე მეტი წილის/აქციის, ან საოპერაციო აქტივების მთლიანი ღირებულების 5 პროცენტის ან 5 პროცენტზე მეტის გასხვისება ან/და მაკონტროლებელი პირის (საბოლოო ბენეფიციარის) ცვლილება, რაც ქმნის მესამე ქვეყნის რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ სისტემის ოპერატორზე ან/და საოპერაციო აქტივებზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას.

3.3. ლიცენზიატები ბუნებრივი გაზის სექტორში

2023 წელს ბუნებრივი გაზის სექტორში საქმიანობას ახორციელებდა 20 განაწილების ლიცენზიატი (მათ შორის სამი ყველაზე მსხვილი ლიცენზიატია (შპს „თბილისი-ენერჯი“, შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“, სს „საქორგგაზი“) და ერთი ტრანსპორტირების ლიცენზიატი (საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია).

4. ფასწარმოქმნა და სატარიფო რეგულირება

კომისიის მიერ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში მოქმედი სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოებისთვის ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი და ამავე კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, კომისიის მიერ შემუშავებული და ნორმატიული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიები.

სატარიფო მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშებისას გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული „წამახალისებელი“ (ზღვრული შემოსავლების რეგულირება) და „დანახარჯები პლუს“ რეგულირების პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფს საწარმოს ფუნქციონირების სტაბილურობასა და ეფექტიანობის ზრდის სტიმულირებას, გაწეული მიზანშეწონილი დანახარჯების ანაზღაურებასა და გონივრული მოგების მიღებას.

კანონით გათვალისწინებული საჯარო მომსახურების ფარგლებში, რომელსაც სათანადო ენერგეტიკული საქმიანობისთვის საწარმოს აკისრებს საქართველოს მთავრობა, კომისია უფლებამოსილია მის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით დაადგინოს ელექტროენერგიის ტარიფები იმ საბოლოო მომხმარებლებისთვის, რომელსაც ემსახურება საჯარო მომსახურების გამწევი მიმწოდებელი.

კომისიის მიერ დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიებისა და რეგულაციების მიხედვით ტარიფები დგინდება რეგულირების პერიოდზე და კონკრეტული ენერგეტიკული საწარმოსთვის ინდივიდუალურად: ელექტროენერგეტიკის სექტორში განაწილება – გადაცემისთვის ხუთწლიან პერიოდზე, საჯარო მომსახურების ვალდებულებას დაქვემდებარებული ჰიდროელექტროსადგურებისთვის — სამი წლის ვადით, ხოლო თბოლექტროსადგურებისთვის — გარანტირებული სიმძლავრის საფასური ყოველწლიურად, ანუ ერთი წლის ვადით და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფი – ყოველთვიურად, ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, აგრეთვე, საჯარო მომსახურების ვალდებულებას დაქვემდებარებული მიმწოდებლებისათვის — ერთი წლის ვადით.

5. საქმიანობების განცალკევება

ევროპული „მესამე ენერგეტიკული პაკეტის“ ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპის, გადამცემი სისტემების ოპერატორების განცალკევების, სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის 2020 წლის 27 მარტის N9 დადგენილებით დამტკიცდა „გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირების წესები“, რომელიც განსაზღვრავს გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების განხორციელების საფუძვლებს, პროცედურებსა და ვადებს. დადგენილების მიზანია, განსაზღვროს გადამცემი სისტემის ოპერატორების ეფექტიანი განცალკევების წინაპირობები და მათი შესრულების კონტროლის მექანიზმი, რაც, თავის მხრივ, კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრების განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. დადგენილება აგრეთვე ითვალისწინებს სერტიფიცირებაზე უარის თქმისა და სერტიფიცირების პროცედურის ხელახალი დაწყების საფუძვლებს.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირებას, აგრეთვე დამოუკიდებლობისა და საქმიანობების განცალკევების მოთხოვნებთან მის შესაბამისობაზე ზედამხედველობას ახორციელებს კომისია.

კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილება „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების დამტკიცების შესახებ“.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, რომელიც ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ნაწილია, სულ მცირე, სამართლებრივი ფორმის, ორგანიზაციული მოწყობისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, დამოუკიდებელი უნდა იყოს სხვა ისეთი საქმიანობისგან, რომელიც განაწილების საქმიანობას არ უკავშირდება. გამანაწილებელი სისტემების ოპერატორების ეფექტიანი განცალკევების ხელშეწყობის მიზნით კომისიის 2020 წლის 16 ივლისის N39 დადგენილებით დამტკიცდა „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესები“, რომელიც დეტალურად აღწერს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის სამართლებრივი, ფუნქციური (მენეჯმენტის), ანგარიშების განცალკევებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებსა და შესაბამის პროცედურებს. დადგენილება ვრცელდება ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში არსებულ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებზე. გარდა ამისა, დადგენილებით ასევე განსაზღვრულია გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ შესაბამისობის პროგრამის შემუშავებასთან, დანერგვასთან, წარდგენასთან, მიღებასა და გამოქვეყნებასთან, ასევე შესაბამისობის ოფიცრის საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

6. წყალმომარაგების სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა

წყალმომარაგების საქმიანობა წარმოადგენს სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის ან/და წყალარინების სისტემის ექსპლუატაციას, წყლის მომხმარებლებისთვის სასმელი წყლის მიწოდებას ან/და წყალარინება კონკრეტული სასმელი წყლის წყალმომარაგების ან/და წყალარინების სისტემის/სისტემების ფარგლებში. თავის მხრივ სასმელი წყლის მიწოდება გულისხმობს წყლის მომხმარებლისთვის სასმელი წყლის მიწოდება სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით.

წყალმომარაგების სექტორი კომისიის მიერ რეგულირებას ექვემდებარება 2008 წლიდან. „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომისიის რეგულირების სფეროს ასევე დაემატა პირველადი წყალმოსარგებლის საქმიანობა, რის ფარგლებშიც კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება პირველადი წყალმოსარგებლის მიერ გაწეული მომსახურების ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის დამტკიცება და გაწეული მომსახურების ტარიფების დადგენა, წყლის მიწოდების წესების დამტკიცება, პირველად წყალმოსარგებლესა და წყალმომხმარებელთა ორგანიზაციას/სხვა წყალმომხმარებელს შორის წარმოშობილი დავის განხილვა.

წყალმომარაგების სექტორის რეგულირება ხორციელდება „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კომისიის მიერ მიღებული და კანონქვემდებარე აქტების, კერძოდ, კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ საფუძველზე.

სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები არეგულირებს სასმელი წყლის მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობებს სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით სასმელი წყლის ყიდვის, გაყიდვის, მიწოდებისა და მოხმარების დროს. აღნიშნული წესებით დადგენილი პირობები სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, რომელიც ახორციელებს მომხმარებელთა წყალმომარაგებას ან/და სასმელი წყლის მოხმარებას. წესებით განსაზღვრულია მიმწოდებლის პასუხისმგებლობა სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით მომხმარებელთა სათანადოდ მომსახურებასა და წყალმომარაგებაზე. წესების თანახმად, წყალმომარაგების ხელშეკრულებით გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს მყიდველს სასმელი წყალი მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესებითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით, ხოლო მყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მიღებული სასმელი წყლის

საფასური და დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესებითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები. წესები უზრუნველყოფს წყალმომარაგების სისტემების უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიანი ოპერირებისა და დაკავშირებული მომსახურების გაწევას, სისტემებით მოსარგებლე ყველა პირისთვის.

კომისია მუდმივ რეჟიმში ახორციელებს წყალმომარაგების ლიცენზიატი საწარმოების სალიცენზიო პირობების შესრულების მონიტორინგს, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის ლიცენზიატთა მიერ კომისიაში წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების საფუძველზე.

კომისიამ 2021 წლის 29 ივლისის №36 დადგენილებით დაამტკიცა „წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესი", რომლის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს წყალმომარაგების ლიცენზიატ საწარმოთა ძირითადი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და მათი როგორც არსებული დონის, ასევე – სამიზნე ნიშნულების დამტკიცება.

კომისია კრიტერიუმების შერჩევისას დაეყრდნო მსოფლიო საუკეთესო გამოცდილებასა (წყლის საერთაშორისო ორგანიზაცია – IWA) და დარგში არსებულ მდგომარეობასა და გამოწვევებს. შედეგად, შეირჩა 11 ერთეული საკვანძო მაჩვენებელი, კერძოდ:

- მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის ინდექსი, რის მიხედვითაც ფასდება ლიცენზიატ საწარმოთა მიერ მომხმარებლებისთვის მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხი;
- სასმელი წყლით მომარაგების დაფარვის არეალის განსაზღვრის ინდექსი, რის მიხედვითაც ფასდება ცალკეული ლიცენზიატი საწარმოს სასმელი წყლის წყალმომარაგების ქსელის დაფარვის არეალი მისი მოქმედების ტერიტორიულ ერთეულში;
- სასმელი წყლის გრაფიკით მიწოდების ინდექსი, რის მიხედვითაც ფასდება წყალმომარაგების საწარმოს მიერ მომხმარებელთათვის სასმელი წყლის მიწოდების უწყვეტობა (გრაფიკი);
- წყალარინების მომსახურების დაფარვის არეალის განსაზღვრის ინდექსი, რის მიხედვითაც ფასდება ცალკეული ლიცენზიატი საწარმოს წყალარინების ქსელის დაფარვის არეალი მისი მოქმედების ტერიტორიულ ერთეულში;
- წყალარინების სისტემის მეშვეობით წყალსატევებში ჩაშვებული სითხის ხარისხის ინდექსი, რის მიხედვითაც ფასდება ცალკეული წყალმომარაგების ლიცენზიატი საწარმოს მიერ წყალსატევებში ჩაშვებული სითხის საქართველოში მოქმედ ნორმებთან შესაბამისობა;
- სახანძრო ჰიდრანტებით მოცვის ინდექსი. აღნიშნული მაჩვენებლით ფასდება წყალმომარაგების ლიცეზიატთა ქსელზე არსებული სახანძრო ჰიდრანტების რაოდენობის დაფარვის არეალი;
- სასმელი წყლის მილსადენებზე ავარიების ინდექსი. მაჩვენებლით ფასდება წყალმომარაგების ლიცენზიატი საწარმოს სასმელი წყლის წყალმომარაგების მილსადენებზე (ყოველ 100 კმ-ზე, წლის განმავლობაში) მომხდარი დაზიანებების რიცხვი;
- წყალარინების მილსადენებზე ავარიების ინდექსი. მაჩვენებლით ფასდება წყალმომარაგების ლიცენზიატი საწარმოს წყალარინების მილსადენებზე (ყოველ 100 კმ-ზე, წლის განმავლობაში) მომხდარი დაზიანებების რიცხვი;
- სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის ჟონვის ინდექსი. აღნიშნული მაჩვენებლით ფასდება წყალმომარაგების ლიცენზიატ საწარმოთა სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემებში სასმელი წყლის დანაკარგის ოდენობა;
- მომსახურე პერსონალის პროდუქტიულობის ინდექსი. მაჩვენებლით ფასდება წყალმომარაგების ლიცენზიატებთან დასაქმებულ პირთა რაოდენობა კონკრეტული წყალმომარაგების სისტემის მოცულობიდან გამომდინარე;

- სასმელი წყლის განაწილების მილსადენების მოქნილობის ინდექსი. აღნიშნული მაჩვენებლით ფასდება ცალკეული წყალმომარაგების ლიცენზიატის ქსელის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით საშუალოდ ერთი დაზიანებისას მომსახურება შეწყვეტილ მომხმარებელთა რიცხვი.

აღნიშნული კრიტერიუმების განსაზღვრა ხდება კომისიაში ლიცენზიატთა მიერ მათი საინვესტიციო გეგმების წარმოდგენამდე. შესაბამისად, „წყალმომარაგების სექტორში ინვესტიციების შეფასების წესის“ თანახმად, ლიცენზიატები ვალდებული არიან თავიანთი საინვესტიციო გეგმების შედგენისას მხედველობაში მიიღონ კომისიის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმები და მათი ინვესტიციების მეშვეობით უზრუნველყონ იმ მიმართულებების მოწესრიგება, რომლებიც გააუმჯობესებს მომსახურების არსებულ დონეს.

მსგავსად ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებისა, წყალმომარაგების სექტორში მოქმედი სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოებისთვის საცტარიფების გაანგარიშების საფუძველს ასევე წარმოადგენს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი და მის შესაბამისად კომისიის მიერ შემუშავებული და ნორმატიული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგია, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულ „წამახალისებელი“ (ზღვრული შემოსავლები) რეგულირების მიდგომებს და პრინციპებს. სატარიფო მეთოდოლოგია მიზნად ისახავს მომხმარებელთა დაცვას მონოპოლიური ფასებისაგან და ასევე უზრუნველყოფს ინვესტორების ინტერესების დაცვას, სტაბილური ფუნქციონირების, გაწეული გონივრული დანახარჯების ანაზღაურებისა და სამართლიანი მოგების მიღების შესაძლებლობას.

აღნიშნული სატარიფო მეთოდოლოგიის საფუძველზე ტარიფები დგინდება 3 წლით და, შესაბამისად, განისაზღვრება საპროგნოზო მონაცემების ტარიფში გათვალისწინების შესაძლებლობაც, მათ შორის კაპიტალური დანახარჯები (წლიური ცვეთა და ამონაგები რეგულირებად აქტივებზე) თითოეული სატარიფო წლისთვის იმ ინვესტიციებზე, რომლებიც დადგენილი წესის მიხედვით (საინვესტიციო გეგმები) შეთანხმებული უნდა იყოს კომისიის გადაწყვეტილებით და უნდა განხორციელდეს შესაბამის სატარიფო წელს. სატარიფო მეთოდოლოგია ითვალისწინებს ფაქტობრივად განხორციელებული ინვესტიციების შესაბამისად ტარიფების კორექტირებას მომდევნო სატარიფო რეგულირების პერიოდისათვის.

6.1. ლიცენზიატები წყალმომარაგების სექტორში

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში წყალმომარაგების სექტორში ოპერირებს წყალმომარაგების 8 ლიცენზიატი. წყალმომარაგების სექტორში მოქმედი ლიცენზიატებიდან 1 წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოს, 5 – მუნიციპალურს და 2 – კერძო საკუთრებაში არსებულ საწარმოს.

7. ლიცენზირება და ტექნიკური რეგულირება

კომისიის 2020 წლის 27 მაისის N22 დადგენილება „ლიცენზირების წესებისა და ენერგეტიკული საქმიანობის თაობაზე შეტყობინების წესის დამტკიცების შესახებ“.

2020 წლის 27 მარტის N22 დადგენილებით კომისიამ დაამტკიცა „ლიცენზირების წესები“ და „ენერგეტიკული საქმიანობის თაობაზე შეტყობინების წესი“, რომლებიც ადგენს მარეგულირებელ ჩარჩოს ენერგეტიკული საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლებისა და არალიცენზირებადი ენერგეტიკული საქმიანობის განმახორციელებელი ენერგეტიკული საწარმოების ავტორიზაციისთვის. დადგენილების მიზანია, უზრუნველყოს გამჭვირვალე და ეფექტიანი ლიცენზირების პროცესი, აგრეთვე განსაზღვროს შეტყობინების მარტივი პროცედურა არალიცენზირებადი ენერგეტიკული საქმიანობის განმახორციელებელი ენერგეტიკული საწარმოებისათვის.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომისია ლიცენზიას გასცემს შემდეგ ენერგეტიკულ საქმიანობებზე: ელექტროენერგიის წარმოება, ელექტროენერგიის/ბუნებრივი გაზის გადაცემა, ელექტროენერგიის/ბუნებრივი გაზის განაწილება, ელექტროენერგიის/ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერირება, ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერირება, გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობების ოპერირება და წყალმომარაგება. კომისიის დადგენილებით განისაზღვრა ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის მიმართვის წესი, ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის წარსადგენი დოკუმენტების ამომწურავი ჩამონათვალი, კომისიის უფლებამოსილებები და ლიცენზიის მაძიებლის ვალდებულებები სალიცენზიო განაცხადის განხილვის პროცესში, მოთხოვნები ლიცენზირების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით და სალიცენზიო განაცხადის განხილვასა და ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. დადგენილებით აგრეთვე დამტკიცდა კომისიის მიერ გასაცემი ლიცენზიის ფორმა და ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობების სალიცენზიო პირობები, ხოლო დადგენილების საფუძველზე, კომისიის 2020 წლის 25 ივნისის N45/8 გადაწყვეტილებით, დამტკიცდა ენერგეტიკული და წყალმომარაგების საქმიანობის სალიცენზიო განაცხადებისა და ენერგეტიკული საქმიანობის შეტყობინების ფორმები.

გარდა ლიცენზირებასთან დაკავშირებული საკითხებისა, დადგენილებით დამტკიცებული „ენერგეტიკული საქმიანობის თაობაზე შეტყობინების წესით“ ასევე განისაზღვრა მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისა და მიწოდების ან/და ვაჭრობის საქმიანობის თაობაზე კომისიისთვის შეტყობინების წარდგენის წესი და მისი შინაარსი.

კომისიის 2020 წლის 9 დეკემბრის №63 დადგენილება „რეგულირების საფასურის ოდენობის განსაზღვრის, გაანგარიშებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“.

კომისიამ 2020 წლის 9 დეკემბრის N63 დადგენილებით დაამტკიცა „რეგულირების საფასურის ოდენობის განსაზღვრის, გაანგარიშებისა და გადახდის წესი“, რომლითაც დადგინდა რეგულირების საფასურის გადამხდელებისთვის რეგულირების საფასურის ოდენობა, მისი გაანგარიშების წესი და გადახდის პირობები. დადგენილების თანახმად, რეგულირებულ საწარმოებს ეკისრებათ ვალდებულება, ყოველი წლის 15 სექტემბრამდე კომისიას წარუდგინონ მომდევნო წლის საქმიანობის მოცულობის პროგნოზი. ამასთან, კომისიას ყოველთვიურად წარედგინება ინფორმაცია საანგარიშგებო თვის განმავლობაში მიწოდებული/გაწეული, რეგულირებას დაქვემდებარებული მომსახურების ან/და პროდუქტის მთლიანი (დარიცხული) შემოსავლის შესახებ.

8. დავების განხილვის მექანიზმები

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ;გ“ ქვეპუნქტებისა და 155–ე მუხლის თანახმად, კომისიის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საწარმოებს, ასევე მომხმარებლებსა და საწარმოებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ასევე გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების კანონმდებლობით დადგენილი ვადების გაზრდის თაობაზე საწარმოების მოთხოვნების განხილვა და გადაწყვეტა.

კომისიის 2020 წლის 4 ივნისის N24 დადგენილებით დამტკიცდა „დავების განხილვის წესები“, რომლის მიზანია დაადგინოს საწარმოებს, ასევე მომხმარებლებსა და საწარმოებს შორის წარმოქმნილი დავების განხილვის პროცედურები და განსაზღვროს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96[1] და 149–ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტებზე საწარმოების მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადების ან/და თანხის დარიცხვის კანონიერებასთან დაკავშირებული დავების განხილვის ერთიანი სამართლებრივი სტანდარტი. დადგენილებით ასევე გათვალისწინებულ იქნა კომისიის მიერ სადავო საკითხის განხილვის ახალი წესი — ზეპირი მოსმენის გარეშე სადავო საკითხის განხილვა, რაც უზრუნველყოფს დავების სწრაფ და ეფექტიან გადაწყვეტას დროისა და ადმინისტრაციული რესურსის დაზოგვის გზით. დადგენილების თანახმად, კომისია სადავო საკითხებს განიხილავს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, ზეპირი მოსმენის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომისია საკუთარი ინიციატივით მიიღებს გადაწყვეტილებას ზეპირი მოსმენის ჩატარების თაობაზე. „დავების განხილვის წესების“ საფუძველზე, კომისიამ 2020 წლის 11 ივნისს მიიღო N43/6 გადაწყვეტილება, რომლითაც განისაზღვრა ზეპირი მოსმენით განსახილველი სადავო საკითხები.

სადავო საკითხების გადაწყვეტისას კომისია დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას. იგი სადავო საკითხს წყვეტს მიუკერძოებლად, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის აპარატისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა კომისიის უმნიშვნელოვანეს ფუნქციად რჩება. ამიტომ, სადავო საკითხების განხილვისა და გადაწყვეტისას კომისია საქართველოს კანონმდებლობის სრული შესაბამისობით ახორციელებს ამ ფუნქციას. კომისია სადავო საკითხის განხილვის შედეგად იღებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს — გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, რიგ სადავო საკითხებზე ადმინისტრაციული წარმოება წყდება კომისიის აპარატის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – წერილით.

II თავი. რაოდენობრივი კვლევის შედეგები

(ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით)

პროექტის ფარგლებში გამოკითხულ იქნა სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიის რესპონდენტები სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონიდან და თბილისიდან. რაოდენობრივი კვლევის კომპონენტის მთავარ მეთოდს წარმოადგენდა გამოკითხვა, რომელიც განხორციელდა სტანდარტიზებული კითხვარის სახით. რაოდენობრივი მონაცემების მოსაპოვებლად გამოყენებულ იქნა ონლაინ–გამოკითხვის ფორმა Google Forms.

გამოკითხვა ეხებოდა ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, ამავე სექტორებში ძირითადი ტენდენციების, გამოწვევების და საჭიროებების გამოვლენას. ჯამში გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 217–მა რესპონდენტმა.

გენდერული რეპრეზენტაციის კუთხით, კაცებმა შეადგინეს 57%, ხოლო ქალებმა – 43%, რაც შეეხება გამოკითხულთა ასაკს, სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდა 18 წლიდან ყველა ასაკობრივი კატეგორია, რომლის ძირითადი ნაწილი, კერძოდ კი – 63%, არიან 30–50 წლის ასაკობრივი ზღვარის მქონე რესპონდენტები.

სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონსა და თბილისში ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირებულ სექტორებში ძირითადი ტენდენციების, გამოწვევებისა და საჭიროებების დასადგენად განცალკევებულად გაანალიზდა შესაბამისი ჯგუფისაგან მიღებული პასუხები.

- **პირველი ჯგუფი** – მათ შორის, სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის ელექტროენერგეტიკის, წყალმომარაგებისა და ბუნებრივი გაზის სექტორების რეგულირებული კომპანიებისა და სამეგრელო ზემო–სვანეთის თვითმმართველობის წარმომადგენლები.
- **მეორე ჯგუფი –** ენერგეტიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები, აკადემიური წრისა და მედიის წარმომადგენლები;

პირველი ჯგუფის (სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონის რესპონდენტები) გამოკითხულთა 66%–ს მონაწილეობა არ მიუღია სემეკის საჯარო სხდომებში, თუმცა, ძალიან ხშირად ეცნობიან სიახლეებს სემეკის ვებგვერდის ან „ფეისბუქ"–გვერდის გამოყენებით.

რესპონდენტთა დიდი ნაწილი, რაც შეადგენს 92%–ს, კმაყოფილია ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების მარეგულირებელი ნორმების ეფექტურობით, ხოლო ჯამში მათი 97% კმაყოფილების დონეს აძლევს მაღალ შეფასებას (1–5 ქულამდე შეფასების პირობებში მიუთითა 4 და 5 ქულა. 5 ქულა ყველაზე მაღალი, ხოლო 1 ქულა ყველაზე დაბალი შეფასებაა), კერძოდ:

დიაგრამა №1. მარეგულირებელი ნორმების ეფექტურობის კუთხით კმაყოფილების დონე



ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მომხმარებლებთან ეფექტური ურთიერთობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა რესპონდენტთა 61%–ის მიერ (სამეგრელო–ზემო სვანეთი და თბილისი) მომხმარებელთა მომსახურების, მათ შორის, ონლაინ–პლატფორმებისა და დახმარების ცხელი ხაზების ხელმისაწვდომობა და დროული რეაგირება, ხოლო 60%–ის მიერ (სამეგრელო–ზემო სვანეთი და თბილისი) – მომხმარებელთა საჩივრებისა და მოთხოვნების სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტა.

სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის რესპონდენტების 59% მიიჩნევს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქეების ინფორმირება სხვადასხვა ტიპის კომუნალური საკითხების რეგულირებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

დიაგრამა №2 რამდენად მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირება სხვადასხვა ტიპის კომუნალური საკითხების რეგულირებასთან დაკავშირებით (სამეგრელო–ზემო სვანეთი)



კითხვაზე თუ როგორ ფიქრობენ, ვისი კომპეტენციაა მოქალაქეთა ინფორმირებულობა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ უწყებას ეხება ამა თუ იმ კომუნალური საკითხის გადაწყვეტა, სამეგრელო–ზემო სვანეთის რესპონდენტთა 36% ასახელებს ადგილობრივ თვითმმართველობას, 35% – კომუნალურ კომპანიას, ხოლო 28% – კომისიას.

დიაგრამა №3 ვისი კომპეტენციაა მოქალაქეთა ინფორმირებულობა, თუ რომელ უწყებას ეხება კომუნალური საკითხის გადაწყვეტა (სამეგრელო–ზემო სვანეთი რეგიონი)



გამოკითხულთა 64–%–ის აზრით კომუნალური სერვისების კუთხით თბილისის და სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მთავარ გამოწვევას ინფრასტრუქტურა წარმოადგენს, ხოლო 24% აფიქსირებს თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობას.

კონკრეტულად სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონში კი – რესპონდენტთა 42% ასახელებს მთავარ გამოწვევად ინფრასტრუქტურას, 30% – თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობას, ხოლო 28% სერვისებზე მოთხოვნის ზრდას:

დიაგრამა № 4 მთავარი გამოწვევა კომუნალური მომსახურების კუთხით (სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონი)



ამავდროულად, მნიშვნელოვანი იყო უშუალოდ სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის რესპონ–დენტების (კომუნალური კომპანიები და თვითმმართველობები) გამოკითხვის შედეგები. კითხვაზე, თუ რა სიხშირით მიმართავენ მოქალაქეები კონკრეტულ კომუნალურ საკითხთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შესაძლოა არ შედიოდეს მათი კომპეტენციის ფარგლებში, სამეგრელო–ზემო სვანეთის რესპონდენტთა ნახევარი – 50% აფიქსირებს, რომ ხშირად ხდება მოქალაქეების მხრიდან კონკრეტულ კომუნალურ საკითხებთან დაკავშირებით მიმართვა, მიუხედავად იმისა, რომ ეს კომუნალური საკითხი შეიძლება არ იყოს მათი კომპეტენცია.

დიაგრამა №5 კომუნალურ საკითხთან დაკავშირების მიმართვების სიხშირე (სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონი)



რაც შეეხება მომხმარებლების მხრიდან მომართვის საფუძველს, სამეგრელო–ზემო სვანეთის რესპონდენტთა უმრავლესობა – 87% აფიქსირებს კომუნალური სერვისების გათიშვას ან შეფერხების პრობლემებს, 8%–მომსახურების ხარისხთან დაკავშირებულ პრობლემას, ხოლო მომსახურების ხელმისაწვდომობას აფიქსირებს სამეგრელო–ზემო სვანეთის რესპონდენტთა 5%:

დიაგრამა №6. ყველაზე ხშირად მომხმარებლების მომართვის საფუძველი (სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონი)

სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონში კომუნალური მომსახურებების გასაუმჯობესებლად, გამოკითხულთა 35% პროცენტი მიიჩნევს რომ საჭიროა თვითმმართველობასა და კომუნალურ საწარმოებს შორის კოორდინაციის გაღრმავება.

თანაბრად გადანაწილდა გამოკითხულთა მოსაზრება კომუნალური მომსახურების სფეროში თვითმმართველობისა და კომუნალური კომპანიების საჭიროებებთან დაკავშირებით კვლევის განხორციელების საჭიროებასა და თვითმმართველობის მოხელეებისა და კომუნალური კომპანიების თანამშრომლებისთვის სატრენინგო პროგრამების შემუშავებაზე:

დიაგრამა №7. საჭიროებები კომუნალური მომსახურებების გასაუმჯობესებლად (სამეგრელო–ზემო სვანეთი)



კვლევაში მონაწილე **მეორე ჯგუფი** მოიცავდა მედიის წარმომადგენლებს, ენერგეტიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტებსა და აკადემიური წრის წარმომადგენლებს.

კითხვაზე, თუ რამდენად კარგად იცნობენ კომისიის მისიასა და სტრატეგიას, 5–ბალიანი ქულათა შეფასების სისტემით გამოკითხულთა ჯამში 77% აფიქსირებს, რომ კარგად, ან ძალიან კარგად იცნობს აღნიშნულ დოკუმენტებს (4 და 5 ქულა). რაც შეეხება, კომისიის მარეგულირებელი აქტების შესახებ ინფორმირებულობას, გამოკითხულთა უმრავლესობა – 35% – აფასებს 3 ქულით:

დიაგრამა №8. ინფორმირებულობა კომისიის აქტების შესახებ



ამასთან, კომისიის წლიურ ანგარიშებს ეცნობა რესპონდენტთა 37%, არ ეცნობა 19%, ხოლო არასრულყოფილად ეცნობა 44%, თუმცა, მათი 70% ეცნობა ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებზე სტატიებს, კვლევებსა და სიახლეებს:

დიაგრამა №9. სტატიების, კვლევებისა და სიახლეების გაცნობა

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 58%–ს მიუმართავს კომისიისთვის რეგულირებული სექტორებში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით (შესაბამისად, 42%–ს არ მიუმართავს) და მათი უმეტესობა – კერძოდ კი – 61%, მიღებულ მომსახურებას აფასებს უმაღლესი ქულით:

დიაგრამა №10. კომისიის მომსახურებით კმაყოფილება



გამოკითხულთა 61% მიუთითებს, რომ არ მიუღია მონაწილეობა ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებულ, კვალიფიკაციის ასამაღლებელ აქტივობებში:

დიაგრამა №11. კვალიფიკაციის ასამაღლებელ აქტივობებში მონაწილეობა

200-ზე მეტ გამოკითხულ რესპონდენტთა (სამეგრელო-ზემო სვანეთი და თბილისი) 95% -ს სურს, რომ მეტი ინფორმაცია მიიღოს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით.

დაახლოებით იგივე მაჩვენებელი დაფიქსირდა უშუალოდ სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგად, კერძოდ, მათ 96%-ს სურს, მეტი ინფორმაცია მიიღოს რეგულირებული სექტორების შესახებ:

დიაგრამა №12. რეგულირებული სექტორების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში)

გამოკითხულთა 21% ფიქრობს, რომ ინფრომაციისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საუკეთესო საშუალება იქნება საინფორმაციო კამპანიები, ხოლო უმრავლესობა – 28% – ემხრობა შესაბამისი ტრენინგები ჩატარებას, კერძოდ:

დიაგრამა №13. ინფორმაციისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო დამატებითი ღონისძიებები



რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები

- თითქმის ყველა გამოკითხულს – 95%–ს – (სამეგრელო–ზემო სვანეთი და თბილისი) სურს მიიღოს მეტი ინფორმაცია ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების საკითხების რეგულირებასთან დაკავშირებით.
- რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა კომისიის მარეგულირებელი ნორმების ეფექტურობის მაღალი მაჩვენებელი – 92%, ხოლო კმაყოფილების დონე ჯამში 97%–მა შეაფასა მაღალი მაჩვენებლით;
- ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მომხმარებლებთან ეფექტური ურთიერთობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა რესპონდენტთა 61%–ის მიერ მომხმარებელთა მომსახურების, მათ შორის, ონლაინ პლატფორმებისა და დახმარების ცხელი ხაზების ხელმისაწვდომობა და დროული რეაგირება, ხოლო 59%–ის მიერ – მომხმარებელთა საჩივრებისა და მოთხოვნების სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტა.
- სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის რესპონდენტები (კომუნალური კომპანიები და თვითმმართველობები) – 50% აფიქსირებს, რომ ხშირად ხდება მოქალაქეების მხრიდან კონკრეტულ კომუნალურ საკითხებთან დაკავშირებით მიმართვა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი შეიძლება არ შედიოდეს მათ კომპეტენციაში.
- გამოკითხულთა 64–%–ის აზრით, კომუნალური სერვისების კუთხით, თბილისი სადა სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მთავარ გამოწვევას ინფრასტრუქტურა წარმოადგენს, ხოლო 24% აფიქსირებს თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობას.
- გამოკითხულთა 42–%–ის აზრით, კომუნალური სერვისების კუთხით, სამეგრელო– ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მთავარ გამოწვევას ინფრასტრუქტურა წარმოადგენს, ხოლო 30% აფიქსირებს თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობას.
- მომხმარებლების მხრიდან მიმართვის საფუძვლად, სამეგრელო–ზემო სვანეთის რესპონდენტთა 87%, აფიქსირებს კომუნალური მომსახურებების შეწყვეტას ან შეფერხებას.
- გამოკითხულთა უმეტესობა – 35% – მიიჩნევს, რომ საჭიროა თვითმმართველობასა და კომუნალურ საწარმოებს შორის კოორდინაციის გაღრმავება. ასევე, მნიშვნელოვან ღონისძიებებად არის დასახელებული ამ მიმართულებით შესაბამისი კვლევის განხორციელება და ტრენინგ–პროგრამის შემუშავება (27% – 27%).
- მედიისა და ენერგეტიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტების, ასევე, აკადემიური წრეების წარმომადგენლების 35% ძალიან კარგად, ხოლო 26% კარგად იცნობს კომისიის მისიასა და სტრატეგიას.
- კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ კომისიის წლიურ ანგარიშებს ეცნობა რესპონდენტთა 37%, ხოლო 70% ეცნობა ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების საკითხებზე სტატიებს, კვლევებსა და სიახლეებს.
- რეგულირებულ სექტორებში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით, კომისიისთვის მიუმართავს გამოკითხულთა 58%–ს და მათი უმეტესობა მიღებულ მომსახურებას აძლევს უმაღლეს შეფასებას.
- გამოკითხულთა შორის ცოდნისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყველაზე პოპულარული აქტივობები აღმოჩნდა ტრენინგები – 28% – და საინფორმაციო კამპანიები – 21%.

III. თავი. თვისებრივი კვლევის შედეგები

(ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით)

თვისებრივი კვლევა განხორციელდა სამიზნე აუდიტორიასთან, კერძოდ: სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის ენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირებადი კომპანიებისა და თვითმმართველობების წარმომადგენლებთან.

ფოკუს-ჯგუფის ფორმატში დისკუსია წარიმართა წინასწარ შემუშავებული სადისკუსიო გეგმის მიხედვით. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი გახდა სამიზნე აუდიტორიის განწყობებისა და დამოკიდებულებების შესწავლა საკვლევი საკითხის მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა მხრიდან გამოიკვეთა კვლევისადმი მაღალი ინტერესი და პროცესში ჩართულობა.

ფოკუს–ჯგუფის წარმომადგენლებისთვის შეთავაზებულ იქნა შემდეგი ძირითადი საკითხები:

- თქვენი შეფასებით, მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩო რა გავლენას ახდენს თქვენს რეგიონში მომხმარებელთა კმაყოფილებაზე კომუნალურ სექტორებში?
- გთხოვთ, იმსჯელოთ კომუნალური მომსახურების სფეროში თქვენი კომპანიის/ მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევებზე. როგორ მოქმედებს ეს გამოწვევები მომხმარებელთა მომსახურებაზე და საერთო კმაყოფილებაზე?
- თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, რა არის 2–3 ყველაზე დიდი პრობლემა, რომლებსაც ამჟამად აწყდება თქვენს რეგიონში ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირებადი სექტორები?
- გთხოვთ, იმსჯელოთ კომპანიებმა და თვითმმართველობებმა იმ კონკრეტულ გამოწვევებზე, რომლებსაც აწყდებით ერთმანეთთან, თქვენი კომპეტენციების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობისას?
- გთხოვთ, იმსჯელოთ, რა უნდა გაკეთდეს თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომპანიებისა და თვითმმართველობების მეტად ეფექტური მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად – საიმედო, ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და მდგრადი კომუნალური მომსახურების მისაწოდებლად მომხმარებლისთვის.
- მოუმართავთ თუ არა მომხმარებლებს თქვენთვის კომუნალური სერვისების ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რაც არ არის თქვენი კომპეტენცია? გთხოვთ იმსჯელოთ ასეთი შემთხვევების დროს რა ზომებისთვის მიგიმართავთ?
- გაგვიზიარეთ ბოლოდროინდელი მარეგულირებელი ცვლილების/ცვლილებების კონკრეტული შედეგები, რომლებმაც გავლენა იქონია თქვენი კომპანიის/მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და მომხმარებელთა მომსახურებაზე.
- რა მეთოდებს იყენებთ მომხმარებლებთან/მოქალაქეებთან კომუნიკაციისთვის და მათი საჭიროებებისა და პრობლემების გასაგებად? (მაგ. გამოკითხვები, შეხვედრები, ონლაინ პლატფორმები და ა.შ) . რამდენად ეფექტურია ეს მეთოდები მომხმარებელთა პრობლემების გადასაჭრელად?
- რა წინადადებები გაქვთ მარეგულირებელ ორგანოს, კომუნალურ კომპანიებსა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად? გთხოვთ, იმსჯელოთ მექანიზმებზე, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს თანამშრომლობა თვითმმართველობებს, კომისიასა და რეგულირებად კომპანიებს შორის სექტორების წინაშე არსებული გამოწვევებისა უკეთ გადასაჭრელად.

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და ტენდენციები

ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირებულ სექტორებში ძირითადი ტენდენციების, გამოწვევების და საჭიროებების თვალსაზრისით, გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები:

- კვლევაში მონაწილე, სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონის, ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორის რეგულირებადი კომპანიებისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კომპეტენციების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის პროცესში ერთმანეთთან ურთიერთობისას პრობლემებს არ აწყდებიან.
- კვლევაში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აქვთ კომისიასთან ურთიერთობის ძალიან კარგი გამოცდილება. მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩო დადებით გავლენას ახდენს რეგიონში მომხმარებელთა კმაყოფილებაზე და კომუნალურ სექტორში მოქმედი კომპანიების საქმიანობაზე.
- რეგულირებული კომპანიებისა და თვითმმართველობების წარმომადგენლების განმარტებით, ისინი მუდმივად ახორციელებენ მომხმარებელთა მიერ წამოჭრილ საკითხებზე რეაგირებასა და წერილობითი პასუხის ან/და განმარტების გაცემას. მიუხედავად ამისა, მომხმარებლების მხრიდან ხშირად ხდება კონკრეტული რეგულირების საკითხის ირგვლივ განმარტებების მოთხოვნა. შესაბამისად, რეგულირებული კომპანიებისა და თვითმმართველობების წარმომადგენლების შეფასებით, მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩოს ირგვლივ საჭიროა მომხმარებლებისთვის გარკვეული საკითხების (როგორებიცაა, მაგალითად, სატარიფო რეგულირების მიდგომები, შესასრულებელი სამუშაოების ვადები და ა.შ.) შესახებ ცნობიერების ამაღლება და დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. გამოიკვეთა რეგულირების საკითხებზე ინფორმირებულობის არასაკმარისი დონე.
- კვლევაში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მოქალაქეები, განურჩევლად იმისა, არის თუ არა საკითხი თვითმმართველობის ან/და კომპანიის კომპეტენცია, მიმართავენ თვითმმართველობის ორგანოებს.
- ფოკუს–ჯგუფის მონაწილეთა ნაწილმა აღნიშნა, რომ ხშირად აწყდებიან პრობლემებს, როდესაც ხორციელდება სხვადასხვა ტიპის სამუშაოები და, შესაძლებელია, ამას მოჰყვეს კომპანიების სისტემების დაზიანება, რაც შემდგომ იწვევს მიწოდების წყვეტებს, აუარესებს მომსახურების ხარისხს და ქსელში დანაკარგების მაჩვენებლებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, თვითმმართველობის წარმომადგენლების განმარტებით, არსებობს ზოგიერთი ტიპის სამუშაოები, რომლებიც შეიძლება არ საჭიროებდეს ნებართვის გაცემას და ეს პრობლემები, შესაძლოა, ასეთი ტიპის სამუშაოების განხორციელებას ეხებოდეს.

რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების საჭიროების დიდი ინტერესი გამოითქვა. კერძოდ, ინტერესი გამოიხატა შემდეგი სახის ღონისძიებების მიმართ:

- პერიოდული შეხვედრების ორგანიზება და რეგულირების თემატიკასთან დაკავშირებით დაგროვილი საკითხების განხილვა;
- მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩოს ირგვლივ, მომხმარებლებისთვის გარკვეული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება და დამატებითი ინფორმაციის მიწოდება;
- მომხმარებლებისთვის ენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორების რეგულირებადი კომპანიების, თვითმმართველობებისა და კომისიის ფუნქცია–მოვალეობების და საქმიანობის დაფარვის არეალების შესახებ ცნობიერების ამაღლება და დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.

IV. თავი. დასკვნები და ძირითადი ტენდენციები

- კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობას – 95%–ს – (სამეგრელო–ზემო სვანეთი რეგიონი და თბილისი) სურს, მიიღოს მეტი ინფორმაცია ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების საკითხების რეგულირებასთან დაკავშირებით, რაც ხაზს უსვამს ჩატარებული კვლევის დროულობას და საჭიროებას;
- კომისიის მარეგულირებელი ნორმების ეფექტურობასა და კმაყოფილების დონეს ჯამში რესპონდენტთა 97% მაღალ შეფასებას აძლევს. აღნიშნული მიუთითებს კომისიის ეფექტურ მუშაობაზე;
- კომისიისთვის რეგულირებულ სექტორებში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართვის შემთხვევაში, რესპონდენტები კომისიისგან მიღებულ მომსახურებას აძლევენ უმაღლეს შეფასებას. ეს მიანიშნებს კომისიის მხრიდან საკითხების მიმართ მიდგომების მაღალ სტანდარტზე.
- კვლევაში მონაწილეთა შეფასება, რომ მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩო დადებით გავლენას ახდენს როგორც მომხმარებელთა კმაყოფილებაზე, ასევე კომუნალურ სექტორში მოქმედი კომპანიების საქმიანობაზე, წარმოაჩენს კომისიას, როგორც სამართლიანი და დამაბალანსებელი პოლიტიკის გამტარებელ, ეფექტურ უწყებად.
- სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონში მოქალაქეთა მხრიდან კომუნალური მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით, კომპანიებისა და თვითმმართველობებისთვის ხშირი მიმართვა (განსაკუთრებით წყვეტასა და შეფერხებასთან დაკავშირებით–87 %), ასევე, რესპონდენტების მიერ მთავარ გამოწვევად დასახელებული ინფრასტრუქტურა და თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა, მიუთითებს რეგიონში კომუნალურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების აქტუალობაზე;
- სამეგრელო–ზემო სვანეთში რესპონდენტების გამოკითხვის (კომუნალური კომპანიები და თვითმმართველობა) შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ ხშირად მიმართავენ მოქალაქეები ისეთ კომუნალურ საკითხებზე, რომლებიც მათ კომპეტენციაში არ შედის. აღნიშნული გარემოება მიანიშნებს, რომ მნიშვნელოვანია მოქალაქეების ინფორმირებისთვის დამატებითი ღონისძიებების გატარება, რათა მათ ზუსტად იცოდნენ კომუნალური პრობლემის არსებობის შემთხვევაში თუ რომელ უწყებას უნდა მიმართონ.
- გამოკითხულთა შორის ცოდნისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყველაზე საჭირო ღონისძიებებად ტრენინგები და საინფორმაციო კამპანიები დასახელდა. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულებით აქტივობების განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიებების გაზრდა;
- თვითმმართველობასა და კომუნალურ კომპანიებს შორის, კომუნალური სერვისების მომსახურების გასაუმჯობესებლად გამოიკვეთა რეგულარული შეხვედრების გზით კოორდინაციის გაღრმავების აუცილებლობა. ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციის და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის კი დასახელდა ტრენინგ პროგრამის შემუშავების საჭიროება.

- გამოკითხულთა უმრავლესობის მიერ, ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მომხმარებელთა მომსახურების, მათ შორის, ონლაინ პლატფორმების, დახმარების ცხელი ხაზების ხელმისაწვდომობა და დროული რეაგირება, მომხმარებლებთან ეფექტური ურთიერთობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მექანიზმებად წარმოჩინდა;
- გამოიკვეთა მომხმარებლებისთვის გარკვეული საკითხების (მაგ.: რეგულირებადი კომპანიების მიერ შესასრულებელი სამუშაოების ვადები, რეგულირებადი კომპანიების, თვითმმართველობებისა და კომისიის ფუნქცია–მოვალეობების და სხვა) შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და დამატებითი ინფორმაციის მიწოდების საჭიროება;
- ენერგეტიკის საკითხებზე მომუშავე ექსპერტებისა და აკადემიური წრის წარმომადგენლების მხრიდან გამოიკვეთა მეტი ინფორმირების სურვილი ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების საკითხების რეგულირებასთან დაკავშირებით.

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99)33 52 02; 5(99) 17 22 30
E–mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com
ISBN 978-9941-33-817-5

ელიზბარ ერისთავის სახელობის
ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი

Visegrad Fund

ISBN 978-9941-33-817-5

entc.ge